

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ქცევის კოდექსი (სამუშაო ვერსია)

მასწავლებელთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირთან დამოკიდებულება

1. სტუდენტი ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.
2. სტუდენტი ემორჩილება დირექტორისა და მასწავლებლის კანონიერ მითითებებს.

სტუდენტებთან დამოკიდებულება

სტუდენტი თავაზიანად ეპყრობა სხვა სტუდენტებს, თავს იკავებს მათთან ძალადობის მუქარისგან, ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებებისგან და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცხყოფას.

სტუდენტის ჩაცმის წესი

სტუდენტი ცხადდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით.

სტუდენტის ქცევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასწავლო-საწარმოო პროცესისა და სხვა ღონისძიებების დროს

1. სტუდენტი დროულად ცხადდება სასწავლო-საწარმოო გაკვეთილზე ან სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე.
2. მეცადინეობაზე ყოფნისას, სტუდენტს აქვს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთები.
3. სტუდენტი გამოხატავს აზრებს და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.
4. სტუდენტი არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს სასწავლო პროცესის დროს, არასასწავლო მიზნით.
5. სტუდენტი ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა სტუდენტებს, სასწავლო-საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას.
6. სტუდენტი პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად.
7. სტუდენტი არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
8. სტუდენტი არ ტოვებს მეცადინეობას მასწავლებლის ნებართვის გარეშე.

9. სტუდენტი უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.
10. სტუდენტი იცავს სისუფთავეს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

პროფესიულ საგანმათლებლო დაწესებულებაში აკრძალული ნივთები

სტუდენტი არ ცხადდება პროფესიულ საგანმათლებლო დაწესებულებაში შემდეგი ნივთებით:

- ა) ყველანაირი სახის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას იარაღად;
- ბ) ალკოჰოლური საშუალებები;
- გ) ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;
- დ) აზარტული თამაშის საშუალებები;
- ე) უხამსობის ამსახველი ნივთები;
- ვ) ნარკოტიკული საშუალებები;
- ზ) ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები.
- თ) ფსიქოტროპული საშუალებები, ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე.